კვირა, 1918 წ. თიბათვის 16 № 118 კვირა, 1918 წ. თიბათვის 16 № 118

ყოველდღიური გაზეთი ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე [illegible]

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უმისოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

პირველი აპრილიდან ხელის მოწერის ფასი წლით ... სამი თვით და ... —18 მ. თვეში (თბილის ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73.

## ცნობები:

სტამბოლის კონფერენციაზე დასასწრებლად გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარედ ა. ჩხენკელი დაინიშნა.—გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსი აცხადებს, რომ გერმანელ-ქართველთა ჯარები თანხმობით მოქმედებენ და წესიერების აღდგენას ემსახურებიანო.—თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი გაგიევი დააპატიმრეს.—ბორჩალოს მაზრაში ჩვენმა ჯარმა შულავერი და სადახლო აიღო და თათართა ბრბოები გაჰფანტა.

## ქართული კლუბი

კვირას, 16 ივნისს გაიმართება

### გ. ქუჩიშვილის დილა

იგ. გომართელი—ლექცია. გ. ქუჩიშვილი—ახალი პოემა. ვ. რუხაძე, გ. შინაქნელი და გ. სათაშვილი.—დეკლამაცია. ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯაბიელი—სცენები. ილ. ქურხული—სკრიპკა. ძმანი კავსაძენი—სიმღერები. ი. სალირაშვილი—თარი.

დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთები იყიდება კასაში

გამგე გ. სათაშვილი

დეოდორე(?) ნიკოლოზის ძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 16 თიბათვეს ველაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის და დედის

### თამარა ლუკას ასული კვეზერელი-კოპაძის

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე. 2—1659—2

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ქეთევან პეპუნა თოფურიძისა, დანი: ელისაბედ ჩაჩიბაია და ანნა თოფურიძის ასული, გულითადი მეგობარი ევგენი მიხეილის ძე გაბუნია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

### მიხეილ დიმიტრის ძის თოფურიძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს, 15 ივნისს, საღ. 7 ს., ქაშვ. წმ. გ. ეკლესიაში. გამოსვენება იმავე ეკლესიიდან კვირას 16 ივნისს, დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნ. სასაფლაოზე

## სახიფათო გზით

გარეშე ძალაზე დაყრდნობა შინაურ საქმეებში ჩასარევად—პირდაპირი მოღალატეობაა სამშობლოსი და ყველგან, სადაც ესა ხდება, თუ მთავრობას ძალა აქვს ან გონიერი სიფხიზლე—იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, ცეცხლითა და მახვილით უსწორდება ასეთს მოღალატეებს. ჩვენმა მთავრობამ, რაკი იგი ნორჩი, ჯერედ გაუმაგრებელი სახელმწიფოს მთავრობაა, უფრო მეტი სიფხიზლე და სისასტიკე უნდა გამოიჩინოს რომ თავიდანვე არ გამოეთხაროს ძირი ჩვენს ქვეყანას, რომელსაც გარედან და შიგნიდან მრავალი მტერი და მოღალატე ჰყავს. ამიტომ ჩვენ არამც თუ ხელს არ უშლით, როგორც ეს „ერთობას" ჰგონია, არამედ ყოველის ჩვენის ძალღონით დავეხმარებით მთავრობას განდევნოს და დასაჯოს მოღალატენი. მაგრამ ამისათვის არამც თუ საკმარისი არ არის—პირდაპირ მავნებელია ფუჭი მუქარა, რომელსაც არ მოსდევს შედეგად ამ მუქარის აღსრულება. ერთს ფრონტზე ჩვენ ზავი შეკარით, დანარჩენებზე ჩვენ ვომობთ. ამავე დროს კი სწორედ ის ელემენტები, რომელნიც ჩვენს წინააღმდეგ ომს აწარმოებენ, თავისუფლად დათარეშობენ საქართველოს დედა ქალაქში და, როგორც გადმოგვცემენ ჩვენს წინააღმდეგ მოხალისეებს ჰკრებენ. ჩვენი მთავრობა მეტის-მეტ თავაზიანობას, სანტიმენტალობას, ჰუმანობას იჩენს ასეთ პირებისა და ჯგუფების მიმართ და მის კილოს არ ეტყობა ბრძანებლობა, მის მოქმედებას არ ეტყობა სიმტკიცე—ეს კი ყოველთვის ისე ყოფილა და არის მიჩნეული ადამიანთა გონებაში, როგორც სისუსტე.

ჩვენ კარგადვე მოგვეწონა იმ ამბავმაც კი, ვითომ მთავრობა აპირობს „ტერორს" მოღალატეების წინააღმდეგ. ეს თუ მართალია, უნდა განმარტებულ იყოს—რა არის ტერორი—ეს იგივე მეთოდია ბრძოლისა, როგორც აწარმოებდა მას ძველებური მთავრობა, როცა ოპოზიციაში იყო, ე. ი. საიდუმლო დასჯა, რასაც ადგილი ჰქონდა მთავრობის წრეებში საშუალო საუკუნოებში—თუ ეს ახალი სამართლისა და მტკიცე მიმართულების მიღებაა? ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით ამ უკანასკნელს, ვინაიდან ყველა მოღალატემ და მოსურნემ ღალატისა, უნდა გაითვალისწინოს გულში და თავში ის აზრი, რომ საქართველოს სახელმწიფოში არის დამსჯელი ხელი ყოველი მოღალატისათვის და დამსჯელი ახლავე, სამართლიანად.

მაგრამ თუ ვინმე განზრახვა აქვს საიდუმლო, უჩინარი ტერორით მოქმედება—ეს საშუალო საუკუნოების მეტადი მთავრობის უძლურებისა და სისუსტის უტყუარი მაჩვენებელი იქნება და დაუსრულებელ არეულობისა და ანარქიის მომასწავებელი იქნება. ამასთანავე ასეთ ზომებს დასახული მიზნისთვის არასოდეს არ მიუღწევია და ყოველთვის მის ავტორებისათვის უფრო მეტი ვნება მოუტანია. და თუ ჩვენი მოთხოვნაა—რეგულიარი და მტკიცე ჯარი გარეშე მტრების მოსაგერებლად, შინაურ საქმეების წესიერად წაყვანისათვის, უპირველესად ყოვლისა რეგულიარულად მომქმედი და ღირსებით სავსე მთავრობაა საჭირო, რომელიც მტკიცედ ალაგმავს უწესოებას და წესიერ ერთად დაამყარებს აღნიშნებლობით ადმინისტრაციაც. უნდა ყოველივე დარგი სახელმწიფოებრივი შემოქმედების მტკიცედ ჩამოყალიბებული და შეურყეველი იყოს და განიდევნოს სანტიმენტალური ქანაობა დაჯერებისა და დამალვის შორის—უნდა მოისპოს რყევა და ცხოვრების მაჩანჩალობა, ზედმეტი ლაპარაკით დაჩუქება და მტკიცე ერთ მთავრობობა დამყარდეს კანონისა და სასამართლოს საფუძვლებზე.

## „მეგობრები და მეზობლები"

26 მაისს, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, გიორგი გვაზავა ამბობდა:

საქართველოს, მისთვის რომ ის საქართველოა, „მტერი არა ჰყავსო".

და იგი სრულიად მართალი იყო.

განა ემტერება ვინმე იმ კაცს, რომელსაც თავისი სახლი მუდამ ღია აქვს ყველასათვის და მთელი თავისი სიცოცხლე ვისთვისაც არ გინდათ იმისთვის ზრუნავს, ხოლო თითონ ჩამოგლეჯილი და ჩამოხეული დადის?

საქართველო აქამდე სწორედ ასეთი იყო.

ის აშენებდა რუსეთს,

აშენებდა მაჰმადიანებს,

აშენებდა სომხებს

და ინგრეოდა თითონ.

გამგლეჯილი და გამოშვლეტილი საქართველოში თავს ბატონად სთვლიდა და თვით ქართველი ყველას შემყური იყო:

რას იტყოდა რუსი?

რას იტყოდა სომეხი?

რას იტყოდა თათარი?

და ყველა ესენი, ჩვენს გარდა, თავისთვის ყველაფერს ამბობდნენ და შესანიშნავად ეწყობოდნენ ჩვენს მხარეში.

და იმდენად კარგად ჰგრძნობდნენ თავს, რომ სახლში დაბრუნებასაც აღარ ჰფიქრობდნენ და რჩებოდნენ ჩვენში:

„მეგობრებათ" და

„მეზობლებათ".

და განა შეიძლება მათი გამტყუნება?

ნათქვამია: „ვირი ქორწილში შეიგდეს, ჩემსას ესა სჯობიაო".

მაგრამ საკმარისი გახდა, რომ ამ მექორწილეს ლხინი გაეთავებინა და თავის მუდმივ ცხოვრებაზედ დაეწყო ზრუნვა, რომ ყველა ეს „მეგობრები და მეზობლები" აჯანყებოდნენ.

და ვინ არ გინდათ, რომ დღეს საქართველოს არ უდავებოდეს საკუთარ ცხოვრების მოწყობაში.

რუსი,

სომეხი,

თათარი.

ყველანი უცოცავენ მას, მაგრამ განზედ მაინც ყველანი იდრიკებიან.

წაიკითხეთ, მაგალითისთვის, დაშნაკცუტიუნის გაზ. „ორიზონში" მოთავსებული წერილი ამ სათაურით:

„ამიერ-კავკასიის დაშლის შემდეგ".

აქამდე ყველასთვის ნათელი იყო, რომ ამიერ-კავკასიის დაშლის უმთავრესი მიზეზი იყო მაჰმადიანების სეპარატული პოლიტიკა ბათომში, სომხები ხან ცდმა, ხან დადუმა სიარული.

ერთის სიტყვით, სამივე ერთა შეურიგებელი ერთიანობა.

მაგრამ ეს ასე არ ყოფილა:

თურმე ნუ იტყვით, და ამიერ-კავკასია დანგრეულა იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც აწარმოებდნენ ჟორდანია, რამიშვილი და ჩხენკელი.

ე. ი. ის პირნი, რომელნიც მთელი თავისი სიცოცხლე ქვეყანას უმტკიცებდნენ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა ცხოვრება მხოლოდ ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულში შეიძლებაო.

ყველაზე უფრო დამნაშავე ყოფილა ჩხენკელი თავისი „ფარული დიპლომატიით".

იმ „ფარული დიპლომატიით", რომელიც სხვებისთვის უფრო ნათელი იყო, ვიდრე თვით საქართველოსთვის".

მაგრამ ეს არაფერია. დაშნაკცაკანები დარწმუნებულნი ყოფილან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მომხდარა ქართველი დემოკრატიის სურვილის წინააღმდეგ.

და იცით რა საბუთი აქვთ ამისთვის?

ის ერთგვნული დროშა, რომელიც „თბილისელმა მუშებმა ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯეს.

მაგრამ ნუ თუ არ იციან დაშნაკელებმა, თუ ვინ არიან ეს „თბილისელი მუშები".

სომხებიც,

თათრებიც,

რუსებიც.

ერთის სიტყვით ყველა ჯურის და ჯარის ხალხი.

სწორედ ის ხალხი, რომელიც კიდეც ემუქრება საქართველოს და კიდეც „არამკითხე მოამბესავით მოწადინებულია მოუაროს მას.

დაშნაკცაკანებს არ მოსწონთ, რომ საქართველოს მთავრობამ ჩაიბარა ფოსტა-ტელეგრაფი, სახელმწიფო ბანკი და სხვა დაწესებულებანი.

მაშ რა უნდა ექნა?

რომელი სახელმწიფოა ისეთი, დედამიწის ზურგზედ, რომელიც თვით არ ჰმართავდეს თავის საქმეებს და ქვეყნის სათავეებზე გახდეს ეროვნული ქონება?

ჩვენ ვიყავით მხოლოდ ესეთნი, მაგრამ ჩვენც ვისწავლეთ ჰკუა და ნურას უკაცრავად, თუ დაშნაკებს ძველი ჩვეულებანი დასავიწყად გაუხდეს.

ყველაზედ უფრო გასაკვირი მაინც ის ყოფილა, რომ სომხეთის მთავრობას წინადადება მიეცა თბილისიდან გასულიყო.

ნუ თუ ეს გასაკვირია და ამაზედ უფრო საკვირველი განა ის არ არის, რომ ის ჯერაც არ გასცილებია არა მარტო საქართველოს საზღვრებს, არამედ თვით დედაქალაქსაც?

მართალია ჩვენ მივეჩვიეთ მრავალ მთავრობიანობას, მაგრამ არა ისეთ რომ უცხო სახელმწიფოს მთავრობა ჩვენი მთავრობის გვერდით დავსვათ.

ჩვენ ვურჩევდით სომხებს, რომ ეს ახირებული პრეტენზიებიც იმავე მდინარისთვის გაეტანებინათ, რომელმაც უთუოდ წაიღო „თბილისის ინტერნაციონალობის" ზღაპარი. ამით ისინი გაცილებით მეტს მოიგებენ.

საქართველო შეუდგა თავის სახელმწიფოს მოწყობას და ის შეეცდება თავის ტერიტორიაზედ განამტკიცოს თავისი სუვერენიტეტი.

სომხობაც შეუდგეს თავის სახელმწიფოებრიობის დამყარებას.

ჩვენ ეს მხოლოდ გაგვახარებს.

მას აქვს მაღალი წარსულიც და უნდა ჰქონდეს იმედიანი მომავალიც.

თუ ისინი დღეს მწუხარე წამებს განიცდიან თანაბარის სევდით შეჰყურებს მათ ქართველი მოქალაქეც.

მაგრამ თუ ჩვენ გავიელით არარატის სახელმწიფოში, ჩვენ დაბლა თავს დავხრით მათის წარსულის, აწმყოსიც და მომავლის წინაშეც.

და ეგევე უნდა მოიხადონ ქუდი იმათაც, რომლებსაც ისინი საქართველოში ასე არხეინად სტუმრობენ.

ლ. ჯაფარიძე.

## იუპიტერო, განრისხდით?!

დღეს ჩვენ არსებითად არ შევეხებით მთავრობის პოლიტიკას. რასაკვირველია არა იმიტომ, რომ ჩვენზე იმოქმედა იმ ფრიად თავისებურმა გამოძახილმა, რომელიც გამოიწვევია ზოგიერთს ძლევა მოსილ წრეებში ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრებს. უნდა გამოვტყდეთ—ეს გამოხმაურება ჩვენ მეტად უცნაურად გვეჩვენება და ვისაც ესმის ბეჭდვითი სიტყვის დანიშნულება, უნდა შესწუხდეს ძალა ცივი დიმილით უცქიროს ასეთს მათს ფარისევლობას.

მთავრობის პოლიტიკურ აღთქმას და იმ იმედებს, რომელსაც ისინი აღგვიძრავენ, ჩვენ არსებითად შევეხებით, როდესაც მთავრობის დეკლარაცია ოფიციალურად გამოცხადდება. ეს დეკლარაცია მთავრობამ ჯერ სანიმუშოდ გამოიტანა და შემდგომ, როდესაც ის არავინ მოიწონა, შესაკეთებლად დაიბრუნა. ეხლა ჩვენ არ ვიცით რომელი რედაქციით გამოუცხადდება ეროვნულ საბჭოს.

თუ გულის თქმა რამეს მოასწავებს, ავი წინა გრძნობა გვაქვს, რომ მთავრობის ეს აღთქმა იქნება დიდი რუსეთის და პატარა საქართველოს ასი წლის სიამტკბილი კავშირის უკანასკნელი სამახსოვრო საჩუქარი. რუსული ბორში ქართული ლობიოთი შეზავებული. კარგი იქნებოდა ეს საუცხოვო ნაზავი საქართველოს ეროვნულ საბჭოსათვის კი არ მიერთმიათ, არამედ რომელიმე სხვა საბჭოსათვის.

საქართველო თავის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენას შეუდგა, ხოლო მას ჯერ კიდევ სავსებით არ გარუნთავისუფლებია თავი ასი წლის მემკვიდრეობისაგან. მაგრამ საქართველოს განთავისუფლების გაზაფხული უკვე დაიწყო და ფერადოვანი ძალა

ვერ შეაჩერებს წარსულის ნანგრევებ ქვეშ ახალი ეროვნული ცხოვრების აღმოცენებას.

არ არის გასაკვირველი, რომ ჩვენს სამშობლოში მომქმედი ძალები ზოგი ამ ნანგრევებს ებღაუჭებიან და ზოგი კიდევ იმედით შესცქერიან ნანგრევებ ქვეშ ამომცენარე საქართველოს თავისუფლებას.

დემოკრატია არის ხალხი და საქართველოს დემოკრატიაც აგრეთვე ქართველი ხალხია. რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომ ეს დემოკრატია ისე გრძნობდეს, ისე ჰფიქრობდეს და ისეთი სურვილები ამოძრავებდეს მას, როგორც მას ამას თავზე ახვევენ მისი მეთაურები. ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ხალხისა და მისი ხელმძღვანელების გზები უკვე ერთმანეთს შორდებიან.

გაზეთი „ერთობა“ მაინც გულს არ იტეხს და დარწმუნებულია, რომ ის უკვდავების წყაროა ქართველ დემოკრატიისათვის. მაგრამ მისი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას ეროვნული ცხოვრების ახალი გზები ვერ უპოვია და ძველს კი კარგად იცნობს ქართველი ხალხი. ის მას ერთი წელიწადია სცდის და უშედეგოთ, თუ ცუდი შედეგებით.

ცხოვრება სიცოცხლეა და ის გზას გაიკაფავს რამდენი „ერთობის“ ფურცლები არ უნდა გადაეღობოს მას წინ და ხალხის ბუნებრივ განვითარებას მუდამ ამ ხალხის ინტერესები ამოძრავებს და არა ფანტაზიორთა სურვილები. რასაკვირველია, ხალხი შეიძლება დროებით დაბრმავდეს, რევოლიუციის, თუ კონტრრევოლიუციის გატაცებამ მას გზა შეუშალოს, მაგრამ თუ ერი სიცოცხლობს, ის ვერ ივლის მუდამ ამ მრუდე გზებით.

ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა კარგად უწყიან როგორი მიმართულება უნდა მიიღოს ახლად აღდგენილმა, საქართველოს სახელმწიფოებრივობამ. ქართველმა ერმა უნდა დაამყაროს ისეთი წყობილება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოქალაქეთა თავისუფლება და თანასწორობა, და მოსპობილი იქნება არამც თუ რომელიმე წოდების პრივილეგიები, არამედ აგრეთვე პარტიების თუ სხვა და სხვა ჯგუფების უპირატესობანიც. უნდა განმტკიცდეს ეკონომიური განვითარებისათვის საჭირო პირობები—კერძო საკუთრების უფლება და ეკონომიური საქმიანობის თავისუფლება.

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი წყობილება, რომელიც ჩვენზე ადრე შეუქმნია დაწინაურებულ ერებს. ეს წყობილება არის ბურჟუაზიული და ამ წყობილებას სოციალისტები ებრძვიან და დანგრევას უქადიან ყოველგან, „ერთობა“ თვითონ მოგვითხრობს, რომ ენგელსაც მრავალჯერ აუკრძალავს თავის მოწაფეებისათვის ასეთი სახელმწიფოს მეთაურობა: მას გაუფრთხილებია სინი—ეს დიდი „უბედურობა“ იქნება სოციალ-დემოკრატიისათვისაო. სოციალ-დემოკრატიისათვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერისათვის შესაძლოა, ეს საუბედუროდ გახდეს. ამისი მაგალითები მრავალია.

ჩვენი სოციალ-დემოკრატები არ უჯერებიან ენგელსის რჩევას და მათ ერთი საბუთი აქვთ—ჩვენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს კი არ უნდა ვაშენებდეთ, არამედ უნდა ვანგრევდეთო, მაგრამ ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში სხვა ძალები სუსტნი და მოუმზადებელი არიან, იძულებული ვართ ვიკისროთ ეს „არასასიამოვნო“ საქმე—ჯერ ავაშენოთ და შემდეგომ მის რღვევას შევუდგეთო. დავიჯეროთ, რომ ეს ასეა. მაშ რადა არ შეუდგებით ამ ბურჟუაზიული სახელმწიფოს აღაშენებლობას? როდემდის უნდა დავრჩეთ ძველი წყობილების ნანგრევებზე?

ჯერ ჯერობით ერთი ხელით რომ შენდება, მეორეთი ინგრევა. თუ ასეთია თქვენი შენება, რომ მეტი მოთმინება არ გვქნებათ რასაირად უნდა ავგოთ ახალი სახელმწიფოებრივი შენობა?

ძლიერი ჯარი რომ საჭიროა, თქვენ ხედავთ და კიდეც ჰქმნით ასეთს ჯარს მაგრამ ამავე დროს თქვენ შლით ამ ჯარს, რომელსაც მის გვერდით სტოვებთ წითელ გვარდიას ძველს საფუძველზე. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს წითელი გვარდიის სასარგებლო მოღვაწეობა. მან დიდი სამსახური გაუწია საქართველოს თავისუფლებას, მან მოახდინა საქართველ. ბოლშევიკური მოძრაობის ლიკვიდაცია და ამის შემდგომ, ვინც მისი მეგობარია, უნდა ეცადოს მის რეგულიარულ ჯარად გადაქცევას. ის კარგ მასალასართმევს ჯარს და ამ მასალას უვარგისი ორგანიზაციის გამო, უვარგისად ხდის რეგულიარულ ჯარებთან საბრძოლველად, როდესაც მტერი რთულ სამხედრო ოპერაციებს აწარმოებს, ის არ გამოდგება რაც უნდა მამაცი და მტკიცე არ უნდა იყოს მისი წევრები. მას არ აქვს შესაფერისი მომზადება, დისციპლინა. თბილისის გვარდიელებს კიდევ ერთგვარი ჯგუფური დისციპლინა მაინც ექნებათ და ამასთანავე ერთგვარი შეგნება, ხოლო სოფლებში შემთხვევით მოკრებილი გვარდიელები ხომ სრულიად უვარგისი გამოდგნენ ბრძოლებში. ამ ნაჩქარევად შეკრებილ რაზმებში ნამდვილი ბოლშევიკებიც გარევიან თურმე, როგორც გვამცნობენ ამ ბრძოლების მონაწილენი. ვინ იცის რა მიზნით ეწერებიან ისინი გვარდიაში. ისინი ავრცელებენ თურმე რაზმებში პროვოკაციულ ხმებს და ჰქმნიან პანიკას.

და როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ გვარდიაში მყოფი კარგი მასალა კარგი ორგანიზაციით შეიმოსოს და გახდეს ნამდვილი ჯარი, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვარდიას ამხედრდით და მის ნამოღვაწარს არ ვაფასებთ, როგორც ამას „ერთობა“ ჰფიქრობს?

აიღეთ სასამართლო, ადმინისტრაცია, მმართველობა. ყოველგან სიცარიელეა ან არის ის, რაც არ უნდა იყოს. თუ ჰკისრულობთ ადმინისტრაციას და ამის ძალი შეგწევთ, რადას აგვიანებთ.

და განა ასეთი უპასუხისმგებლობა სადმე გაგონილა? მთავრობა ქვეყანას მართავს და „ერთობა“ მოითხოვს, რომ მთავრობის მოღვაწეობის პასუხისმგებლობა სხვებმა იკისროს. „ერთობა“ ერთს გვერდზე ათავსებს მთავრობის ცნობას, რომ უცხო ძალა საქართველოში მან მოიპატიჟა და მეორე გვერდზე კი ემუქრება ეროვნულ-დემოკრატებს—უცხო ძალების იმედი გაქვთ, უცხო ძალებს ეყრდნობით და ამისათვის პასუხს აგებთო. „ერთობამ“ განა არ იცის, რომ თუ ასეთი მოწვევა ცუდი იყო, ამისათვის პასუხისმგებელი არის ის, ვინც ის მოიწვია. და თუ ეს იყო კარგი და ხელსაყრელი, იგივენი არიან პასუხისმგებელნი, რომ ასე დაგვიანებულად მოიწვიეს.

ა. ახათიანი.

## მორიგი პროვოკაცია

უკანასკნელ დროს სომხურ გაზეთებში იწყობენ მორიგი პროვოკატორული ჭორების გავრცელებას და ჩვენი მესვეურნი ისევე, როგორც წინად რუსის მთავრობა—ასეთ ჭორებს ასაღებენ, როგორც სინამდვილეს და... „ზომებსაც იღებენ“ სათანადოს.

ავიღოთ ჯერ ის, ვითომ „ორასმა თავადმა და აზნაურმა მიმართა გერმანიის წარმომადგენელს—ჩვენი მიწები იყიდეთ, ან და გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან—მიწის დეკრეტი გააუქმონო“—ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, განგებ შეთხზული, რომ კიდევ არევ-დარევა შეიტანონ ჩვენს ხალხში და მთავრობა, იმის მაგიერ, რომ სასტიკად სჯიდეს ასეთს პროვოკაციას და იძიებდეს სინამდვილეს, თითქმის ოფიციალად ბრალსა სდებს ასეთ მოქმედებაში ეროვნულ-დემოკრატებს.

ჩვენ მოვითხოვთ, სასტიკად იყოს დასჯილი ასეთი ჭორების შემთხზველი და გამავრცელებელი სხვადასხვა ბიურო და გაზეთი, რადგან ასეთ ცილისწამებას არასასურველი შედეგები მოსდევს საქართველოს მთლიანობისათვის. და თუ ოდნავი სიმართლე მაინც აღმოჩნდა ასეთს ურცხვ ჭორში და ვინმე კერძოდ მართლაც მიმართა გერმანიის წარმომადგენელს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩამოსარევად—არა ნაკლების სისასტიკით უნდა დაისაჯოს ამის ჩამდენი. ისე კი ჭორების აყოლა და გავრცელება არ ეკადრება არც პატიოსან გაზეთს და არც მტკიცე მთავრობას. ჩვენ მოველით სასტიკ დაუყოვნებლივ პასუხს და არა ცილისმწამებელთა გულიან მუქარას და დებრულ ჩივილს. საბუთები და მტკიცე შედეგები და არა ეჭვები და ფუჭი მუქარა.

მეორე ჭორი, რომლის მსგავსი ამ ომისა და რევოლიუციის დროს მრავლად წაგვეკითხება სომხურ გაზეთებში—არის ინგლისელების ძლიერი ჯარების მოსვლა ყაზვინში, ენზელში და ეხლა უკვე ბაქოში. ეს დიდი ხნის უნაყოფო და ღვარძლიანი ოცნებაა სომხებისა და ამ ოცნებით დღეს სომხეთის მთელი ერი—ასლა როგორც იგავის გმირები—არც თვითონ შეიძგეს თავისუფლება და არც ჩვენ უნდათ რომ შევიგრძნოთ—ხალხში ავრცელებენ ასეთ ხმებს და ჩვენი ოფიციოზი „ერთობაც“ დაუმოწმებლად ავრცელებს ასეთს ჭორს, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს თავის წამოყოფა ყოველგვარ ხულიგანებისა და ჩვენ მოძულე ერებისა. უკვე დასისინებს ღვარძლიანი ეჭვი და თავის საწადელს ელწევენ მოძალადენი, მაგრამ მთავრობამ სასტიკად უნდა აღკვეთოს ასეთი გამოსვლები და დაუსჯელად არ დასტოვოს ცილის მწამებელნი.

ამ მხრივ ჩვენ ვუერთდებით „ერთობის“ მოთხოვნას—განიდევნონ ჩვენი ტერიტორიიდან ყველა მოძალადე და მქირდავი პირი და ორგანიზაცია, რომელნიც ხელს უწყობენ არა მარტო გესლიან ჭორებს, არამედ ანარქიასაც და მოვითხოვთ არც ერთი ჭორი ამ შავბნელ დროს [illegible] გამოუძიებელი სასტიკი [illegible] და [illegible] თანადრო დასჯით—ვინაიდან დღევანდელ მომენტში ჭორს, და, გაზეთის ჭორს ნამეტნავად, მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სხვა რამ დანაშაულს.

რაჟ.

## მთავრობის წრეებში

მთავრობის სხდომაზე 14 ივნისს გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენებით დაკმაყოფილეს რკინისგზის მთავარ კომიტეტის სასურსათო კომიტეტის შუამდგომლობა 11 ივნისიდან კომიტეტის ზარალის დაფარვის შესახებ. ზარალი იმით არის გამოწვეული, რომ რკინისგზის მოსამსახურეებს 50 კ. ეთმობოდათ.

—

**საქართველოს და სომხეთის საზღვრები.**

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სომხეთის ეროვნულ საბჭოსგან მიუღია ცნობა საქართ. და სომხეთის საზღვრების შესახებ. სადაც ნათქვამია, რომ ხსენებულ საზღვართა შესახებ მოლაპარაკების დაწყება შეიძლება მხოლოდ ურთიერთ შორისი შეთანხმებით რეალ მოსახლეობის საფუძველზედ.

ბორჩალოს მაზრის გამიჯვნა კი შესაძლებელია მხოლოდ ეთნიური პრინციპის მიხედვით.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ **ბრძოლა ბორჩალოს მაზრაში.** შულავერიდან გუშინ ჩამოსულ სომეხთა სიტყვით ბორჩალოს მაზრაში ქართულმა და გერმანულმა ჯარებმა თათართა ბრბოები გაჰფანტეს და შულავერის რაიონში დამკვიდრდნენ. თბილისიდან შულავერამდე გზა თავისუფალია.

— 14 ივნისს ჩვენმა რაზმმა სად. სადახლოდან თათართა ბრბოები განდევნეს. სად. სადახლო ჩვენს ხელშია. კერძო ცნობების მიხედვით ამ რაიონში ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

◆ **გაგრიევის დაპატიმრება.** თბილისის მილიციელთა პროფესიონალური კავშირის საბჭოს და საკონტროლო კომისიას მრავალი საჩივარი მოსდიოდა სისხლის სამართლის მილიციის უფროსზე, გაგრიევზე. ეს საჩივრები ჰმოწმობენ, რომ გაგრიევის თანამდებობაზე დატოვება შეუძლებელია. პროფესიონალ კავშირმა განიხილა ეს საჩივრები და ზემოხსენებულ კომისიების დასკვ-

---

## წარსულის კალენდარი

**მიხეილ ბერთველის ძე თუმანიშვილი**

(გარდაცვალების ასის წლის თავზედ)

ფრიად საყურადღებო და საზედისწერო ხანაა რუსთა დამკვიდრების ხანა ჩვენს ქვეყანაში, ის ხანა, როცა სცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიხ. თუმანიშვილი.

ეს ხანა იწყება წარსულ საუკუნის დამდეგს და ძლივს თავდება მთელ ნახევარ საუკუნის შემდეგ.

რუსთა ბატონობა ანგრევს ნელ-ნელა ამ ხნის განმავლობაში არსებულს წეს-წყობილებას, ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენებულს ზნე-ჩვეულებას, ეკონომიურსა და სოციალურს ვითარებას და ამკვიდრებს ისევე ნელ-ნელა თავისებურს მართვა-გამგეობას, შემოაქვს თავისებური ზნე-ჩვეულება, წესი და ადათი, სკოლა და სამართალი. ასეთმა ძირიან-ფესვიანმა ცხოვრების გარდაქმნის მიწრაფებამ დიდი საფრთხე განუმზადა ქართველთა ეროვნულს შეგნებას და შესაძლო იყო, დიდი უბედურება დასტეხოდა მთელს ერს: სრული დენაციონალიზაცია, სულიერი დამახინჯება და გონებრივ ფიზიკური აფერიაქება, გაუდაბნოება, გაველურება.

მაგრამ ბედმა მაინც სავსებით არ გასწირა ქართველობა. ძველმა კულტურულმა ძალამ, საუკუნეებით შემუშავებულმა და შესისხლხორცებულმა ცხოველ-მყოფელმა აღმაშენობამ თავისი გაიტანა.

ერის მესვეურებმა არ მიუშვეს საქმე, არ დაჰნებდნენ გამათახსირებელ რუსიფიკატორობას და მუდამ გამოესარჩლნენ ისეთს მურჯს ეროვნებისას, როგორიც არის: ენა, მწერლობა, თეატრი.

მთავარმართებელმა ვორონცოვმაც ხელი შეუწყო ამ მხრივ იმ იმედით, რომ დევნა უფრო გააღვიძებს, გააძლიერებს ეროვნულ მისწრაფებას, ხოლო მცირედი დათმობა, თავზე ხელის გადასმა და მოფერება მიაძინებს პოლიტიკურად დაჩაგრულ ერის შეურაცხყოფილ გრძნობასა და მამულიშვილობასაო.

მართლაც ჩვენი მაშინდელნი მესვეურნი სრულის ნდობითა და გულმოდგინებით ეკიდებოდნენ ვორონცოვს მთავარმართებლობას და 1832 წლის აჯანყებისა, ან წინანდელ მასიურ აღტყდომისა და მღელვარებისა ხომ სულ აღარა ისმოდარა. პირიქით, აჯანყების მეთაურნი დაბრუნდნენ სამშობლოში, დაეწყნარნენ სამსახურში, უმაღლეს ხარისხამდე აიყვანეს. ამ მესვეურების მცირე გუნდმა თავს იდვა არ ჩაექრო კერა ქართველურის შეგნებისა, დედაენისა და სამშობლო ლიტერატურის სიყვარულისა. როგორც ვარსკვლავნი ბნელს ღამეში, ისე უნათებდნენ მათი ნიჭი და მოღვაწეობა ქართველობას და, თუმცა იწრო იყო და ეკალი გზა ხსნისა და წარმატებისა, მაინც მტკიცედ დაადგნენ ამ გზას. პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ფილოსოფოსი პლატონ იოსელიანი, სოლ. დოდაშვილი, დიმ. ყიფიანი, პროფ. დავ. ჩუბინაშვილი, ნ. ბარათაშვილი, პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი (ბეჟანიჩი) და რამდენიმე კიდევ სხვანი თავგამოდებით მუშაობდნენ და მოღვაწეობდნენ ამ გზის გასატკეპნად, გასაფართოებლად.

ზოგიერთი მათ შორის დიდის ნიჭით იყო დაჯილდოვებული და მრავალ ვარსკვლავთ [illegible] მომავლის ცაზედ. ნ. ბარათაშვილი ხომ ნამდვილი ცისკარი იყო, შუქურ-ვარსკვლავი და, არა თუ მაშინ, ახლაც სიქადულია და დიდება ჩვენის ერისათვის.

და აი სწორედ ამ დიდთა და პატარა ვარსკვლავთა გუნდს ეკუთვნოდა, მათ თანამედროვე, მათ მოსაგრეობდა პოეტი და პირველი ქართველი პუბლიცისტი მიხეილ თუმანიშვილიცა (ბერთველიჩი). მიხ. თუმანიშვილი მხნედ მუშაობს მთელის ორმოცის წლის განმავლობაში, მუშაობს გონებრივის, კულტურულის მუშაობით და მხარში უდგას თავის დიდთა და პატარა თანამოღვაწეთა.

მიხეილ თუმანიშვილის გვარი დიდის ხნის გადმოსახლებული იყო საქართველოში სამხრეთიდან. მხნეობით, გულ-მოდგინებითა და დიდის ლოიალობით ამ გვარმა დაიმსახურა ყურადღება სამეფო კარისა. ამიტომ, თუ არა ვცდებით, მთელის ასის წლის განმავლობაში ამ გვარის წარმომადგენელნი ასრულებდნენ სამეფო კარის სხვა და სხვა თანამდებობას, უფროსი მდივნობას, მსაჯულობას. უფროს შტოს წარმომადგენელნი უფრო ელჩებად და [illegible] (სტატს-სეკრეტარებად) ინიშნებოდნენ, ხოლო უნცროსისა—მდივნებად, მსაჯულებად, მდივან-ბეგებად. იმ დროს, როცა საქართველომ თავისუფლება დაჰკარგა, მდივნებად სამეფო კარზედ სულ თუმანიშვილები იყვნენ თითქმის. ირაკლი მეფეს, გიორგი მეფეს, მათს შვილებს და შვილიშვილებს თუმანიშვილები ჰყავდათ მდივნებად.

აღსანიშნავია, რომ ამ ძველ მწიგნობართა ხელობამ ბოლოს დიდის სიცხადით იჩინა თავი შვილსა და შვილის-შვილში, თითქოს მემკვიდრეობით გადაეცათ შნო და უნარი ლამაზად, ლაზათიანად წერისა, აზრების გამოთქმისა და დალაგებისა, ქვეყნის მშვიდობიან მოქალაქეობრივის გამგეობისა.

მიხეილ ბერთველის ძე თუმანიშვილი დაიბადა სოფ. ხელთუბანში *) სწორედ ამ ასის წლის წინად ესე იგი 1818 წელს, 19 მაისს. წიგნი გორში ასწავლეს პირველად და მერე ქალაქში მიაბარეს კეთილ-შობილთა სასწავლებელში, რომელიც შემდეგ პირველ გიმნაზიად გადაიქცა და რომელმაც აღზარდა ბევრი ჩვენი სახელოვანი მოღვაწე, აი თუნდ ნ. ბარათაშვილი. სწორედ ამ დროს სწავლობდა ისიც ამ სასწავლებელში, აგრეთვე დ. ყიფიანი, ლევან მელიქიშვილი, ჩვენის დ. ჩუბინაშვილის ძმა ნიკო, ლექსიკოგრაფი, გრამატიკოსი და დიდი [illegible]. ნ. ბარათაშვილი ერთის კლასით წინ იყო მიხეილზედ და თავის წერილებს ათავსებდა იმ რუსულ ხელ-ნაწერ ჟურნალში, რომელიც გამოდიოდა მიხეილის რედაქტორობით გიმნაზიის შეგირდებისათვის. ჟურნალს ერქვა სახელად „ყვავილი თბილისის გიმნაზიისა“, არ ვიცით, რა წერილებს ათავსებდა თვით რედაქტორი, რადგან სულ ოთხი ნომერი აღმოჩნდა ამ ჟურნალისა მის ქაღალდებში და იქ ერთ-ერთ ნომრის ზანდუკში დასახელებულია, რა წერილები ეკუთვნოდა ნ. ბარათაშვილს. ეს წერილებია: „წერილი სოფლიდან“, ნაწყვეტი ქართულ რომანის „ვერამიანისა“, „პაპის ხელისუფლება“ (ამაღლება პაპიზმისა, დაცემა მისი). ჟურნალში იღებდა მონაწილეობას ლევან მელიქიშვილიც, ბოლოს მთავარ-მართებლის თანაშემწე, მაგრამ არც ლევანის ნაწერები და არც თვით რედაქტორისა აღმოჩენილ ოთხ ნომრებში არ არის მოთავსებული.

თვრამეტის წლის მიხეილმა გაათავა გიმნაზია და შევიდა სამსახურში 1836 წელს. მაშინ ხომ ექსპედიციები იყო დაარსებული. მიხეილს ხვდა წილად სამსახური ქართველთ სახაზინო ექსპედიციაში (შემდეგ სახაზინო პალატა), როგორც ნ. ბარათაშვილს—ქართველთ ექსპედიცია სამართლისა და განსამართლებისა (экспедиція суда и расправы, грузинскаго верховнаго правительства).

ამ ყმაწვილობის ხანას ეკუთვნის პირველი ლექსები მიხ. თუმანიშვილისა. ლექსები საზოგადოდ ცოტა აქვს დაწერილი ჩვენს ავტორს, თითქმის ყველა სალირიკო ხასიათისაა და ორს მოტივს დასტრიალებს უმთავრესად. ერთია უიმედობა, უსაგნობა, სოფლის დაუდგრომლობა, მსგავსი „მსოფლიო გოდებისა“, ხოლო მეორე—წუწუნი სიცოცხლით დატკბობისა, უზრუნველ-უდარდელის მხიარულებისა, [illegible], თითქმის იგივე, რაც ახასიათებს იმ დროინდელ ჩვენს დიდ პოეტებს: ალ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გ. ორბელიანს. მაგრამ როგორც ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიაში სჭარბობს კილო ვარდის ფერად ცხოვრების შესურათებისა, ისე მიხ. თუმანიშვილის პოეზია გადახრილი უფრო ამ კილოსაკენ. ამიტომ ეტანება ჩვენი პოეტი უფრო პუშკინს, ვიდრე ლერმონტოვს. და თუ სთარგმნის ქართულად, სთარგმნის პუშკინს. თარგმანიც ცოტა აქვს: რამდენიმე წვრილი ლექსი, პოემა „ბახჩისარაის შადრევანი*)“ და რამდენიმე სცენა დონ ჟუანისა (Каменный гость**).

გრ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება.)

*) ამ სოფელსაც იმიტომ დარქმევია ალბად ეს სახელი, რომ აქ უბოძეს მამულები მეფეებმა თუმანიშვილებს, ამ სამეფო ხელისუფალთა და მოხელეთა.

*) დაიბეჭდა „ივერიაში“ 1881 წ. № 7.

**) „ალმანახი“ დაბეჭდილი მის შვილის გიორგის მიერ.

ნის მოსმენის შემდეგ დაადგინა გაგიევი დაპატიმრებული იქნეს. 14 ივნისს ღამის 3 საათზე გაგიევი დააპატიმრეს და გუშინ ციხეში გაგზავნეს.

◆ ოპერა „ქრისტინე" ხაზაზიანთ თეატრში. ორშაბათს 17 ივნისს ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის მიერ დადგმულ იქმნება ოპერა „ქრისტინე". საქართველოს სახელმწიფო თეატრში.

◆ კულტურულ-ტექნიკურ სასწავ. მოწაფე (I სპეციალურ კლასისა) 18 წლის, ქართველი, რომელსაც საშუალება არა აქვს სწავლა განაგრძოს, სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას, აიყვანონ ოჯახში და მით საშუალება მისცენ მას სწავლა განაგრძოს. ის მზადაა ყოველგვარი სამუშაო იკისროს იმ ოჯახში, რომელიც მას შეიფარებს. მისამართი: მოწაფეთა პროფ. კავშირის კანტორა, ვერეშის მოედანი, ქალ. გამგეობას 9 ს.—2 ს. დღ., საღ. 5—7 ს. ტელეფონი 3—60.

## პროვინციის ქრონიკა.

◆ ოზურგეთი. 12 ივნისი. გადაწყვეტილია დაარსდეს კომიტეტი ანარქიასთან საბრძოლველად და სარევოლუციო ტრიბუნალი. ამ მიზნით ამოირჩიეს კომიტეტი იმ ზიანის გამოსაკვლევად, რაც მიაყენა ოსმალეთის ჯარმა ოზურგეთის დაცლების დროს.

◆ ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიის საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კავშირის საბჭო სალამს უძღვნის ქართულ რესპუბლიკას. საბჭო ამიერიდან მიზნად ისახავს თავის მოვალეობის ასრულებას სამშობლოსა და ქართველი ერის წინაშე. საბჭო ყოველ ღონეს იხმარს დაეხმაროს მთავრობას განმტკიცების დროს და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის გატარების საქმეში.

## პარტიული ცხოვრება.

მთავარი კომიტეტის კრება. დღეს დილის 11 საათზე შესდგება მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია საწრაფო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

## შეცდომის გასწორება

მეთაურის მეორე სვეტში უნდა იყოს: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ევროპის სახელმწიფონი არ ჩააქრობენ საქართველოში სახელმწიფოებრივ ცეცხლს".

ამ წერილში დემაგოგია, დასაწყისში უნდა იყოს: „სახელმწიფოს მეთაურობა, მინისტრობა და გენერლობა მეჩექმეობის და თერძობის მსგავსი ხელობა არ არის, რომ ის ყველასთვის მისაწდომი იყოს". ამის შემდეგომ გამოშვებულია: „და ახალს მდგომარეობაში ჩვენმა კეისრებმა მხოლოდ კანი გამოიცვალეს".

„წერილი გენ. გაბაშვილის გადადგომის შესახებ"—ეს სათაური ეკუთვნის სხვა წერილს. უნდა იწყებოდეს სათაურით: ბრძოლა აწყურთან. მეორე სვეტში, შუა პწკარებში უნდა იყოს: „მათში, განსაკუთრებით სოფლებიდან ჩამოყვანილ რაზმებში, დაშლილი და გახრწნილი სული ჯერ ისევ ბუდობს". ქვევით გამოტოვებულია—„სროლით გასცეს პასუხი და გაიქცენ". შემდეგ—„ამათი დიდი ნაწილი ნამდვილი ბოლშევიკები ყოფილან. არავინ იცის რად ჰკრებდენ მათ სოფლებიდან და მით რად შეაქვთ გახრწნა ლაშქრის რაზმებში. ესენი ავრცელებენ პროვოკაციას ჩვენ გაგვყიდესო და ბრძოლის დროს პანიკას ჰქმნიან" და სხ.

## სანდართან ბრძოლა

ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე ხმა გავრცელდა, გერმანელ-ქართველთა რაზმები თათრებთან იბრძვიანო. შეტაკების ადგილად ასახელებდენ სანდარს. თითქოს ამ ამბის დასამტკიცებლად გამოჩნდნენ ავტომობილები, რომელთაც მოჰქონდათ დაჭრილი ქართველ-გერმანელი ჯარისკაცები. საქმის ვითარება ასე ყოფილა: 12 ივნისს, ქართველ-გერმანელთა რაზმები გაგზავნეს სადგ. სანდარისკენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის საზღვრების დასაჭერად. წინ თათრები დახვდათ. თხრილები გაეჭრათ. ესენი ნებას არ აძლევდენ, რომ რკინის გზაზე წესიერი მოძრაობა ყოფილიყო. მისვლისთანავე თათრებს მიუგზავნეს პარლამენტიორები და წინადადება მისცეს—გზა დაეცალათ გერმანელთა ჯარების გასავლელად. თათრებმა უარი სთქვეს და გამაგრება იწყეს რკინის გზის გასწვრივ კლდეებზე, მდ. ხრამის ხიდთან. ღამის 2 საათზე თათართა წინადადებით გამოყვანილი ძალები შეჯგუფდნენ სად. სანდართან, ხოლო რომ ზურგით არ მოევლოთ, გერმანელ ჯარის ნაწილი სადგურიდან ოცი ვერსის იქით დააყენეს.

თათრების იერიში დაიწყო დილის 4 საათზე, ხოლო ბრძოლა ასტყდა 6 საათზე.

თათრებს საუკეთესო პოზიციები ეჭირათ და ტყვიის-მფრქვეველებიდან სეტყვასავით დაუშინეს. აქედანაც ქართველთა არტილერიამ და გერმანელთა ნაღმის მსროლელებმა და ტყვიის მფრქვეველებმა უპასუხეს.

დილის 9 საათზე თათრებმა უკან დაიხიეს. გზა გაწმენდილი იყო. მოიერიშეებმა ტყვეები წამოიყვანეს, მათ შორის ერთი პოდპოლკოვნიკიც. თათრები დიდად დაზარალდენ, ვიდრე ქართველ გერმანელები. თათრები ქვეითად იბრძოდენ, თუმცა რამდენიმე ცხენოსანიც ჰყავდათ, სხვათა შორის აქლემებითაც მებრძოლები.

## გერმანიის სამხედრო კომისიისგან

გაზ. „Соціалъ-демократъ"-ის პირველ ნომერში (10 ივ. ამ წლის), ნათქვამი იყო, ვითომც გერმანელები მონაწილეობას არ იღებდნენ რკინის გზის კომისიაში, და რომ ამის გამო საქართველოს ვერ შეეძლება წინააღმდეგობა გაუწიოს ოსმალთა ჯარებს, თუ ესენი მოინდომებენ რომელიმე სადგურზე გაჩერებას და ქართულ სოფლების დაჭერას.

ასეთი შეხედულობა, რა თქმა უნდა, შემცდარი არის. საქართველოს მთავრობის თხოვნით გერმანიამ იკისრა დაიფაროს საქართველო ყოველ მის მტრისაგან. გერმანია-საქართველოს ხელშეკრულობის მიხედვით ამ დანიშნულების შესრულება დაკისრებული აქვს განსაკუთრებით გერმანიას.

რომ უზრუნველ იქმნეს წესიერი მიმოსვლა რკინის გზებზე, საქართველოს მთავრობისა და გერმანიის სამხედრო მისიის შუა სრული თანხმობაა, თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს ჯარების გადაყვან-გადმოყვანა: ამ საქმის მოგვარება და წესიერების თვალ-ყურის დევნება ნაკისრები აქვთ გერმანელებს. ყველა ჯარების გადაყვანა, ოსმალეთის იქნება იგი თუ გერმანიისა, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში წინასწარ ეს უნდა ეცნობოს თბილისში მყოფ გერმანიის სამხედრო კომისიას. გერმანია არ ჩაერევა საქართველოს შინაურს საქმეებში და არც განზრახვა აქვს როდისმე ჩაერიოს. გერმანიის ჯარები საქართველოში იმყოფებიან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დაიცვან ყველა გარეშე მტრისაგან, ამასთანავე დაეხმარონ მალე აღდგენილ იქმნეს წესი და მშვიდობიანობა ამ ქვეყნისა. გერმანია ჰფიქრობს, რომ ამ მიზნის განხორციელებაში მას მხარს დაუჭერს ყველა ქართველი, ვისაც გულწრფელად უყვარს და თავდადებულია სამშობლოსათვის.

გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსი ფონ-ნეგან-კრეგერი.

## ლტოლვილნი ბაკურიანის რაიონში

(დეპეშით)

სომეხთა ეროვნულ საბჭოს რწმუნებული ტერ-გრიგორიანი 17 ივნისს დეპეშით ბაკურიანიდან იტყობინება შემდეგს: მუსულმანთა ბრბოებმა ბაკურიანის უღელტეხილზედ ლტოლვილებს წაართვეს მთელი ქონება, საქონელი, დაჰყენეს ურმის, ხიდებს, ალათუბანს, გაირეკეს ათასობით საქონელი, წაიღეს პური, ზარბაზნების სროლით დასცეს გარის მაზრის სოფლებს, კიზილ კილისას და მალიტს, მცხოვრებთა ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი ტყვედ ჩაუვარდა მტერს. წაყვანილია რამდენიმე ათასი სული საქონელი. მე ვურჩევდი ლტოლვილებს, თავიანთ ადგილზედ დარჩენილიყვნენ, მჯეროდა, რომ მთავრობა შეასრულებდა თავის დაპირებას და წესიერებას აღადგენდა, მაგრამ მე გამოვდივარ პროვოკატორად და ხალხის ინტერესების მოღალატეთ. ძალიან მცირე ძალები იყო და არის საჭირო რომ ეს ბრბოები გაეფანტოთ. ბრბოებს შეერიან აგრეთვე ბაკურიანის რაიონის მცხოვრებნი, რომელნიც ურმებით ზიდავენ ლტოლვილთა ქონებას, მუდამ დღე მატარებლებით ჩამოდიან ბაკურიანში ასობით სხვა და სხვა სპეკულიანტები, რომელნიც ყიდულობენ ლტოლვილთაგან დატაცებულ ქონებას და ვაგონებით მიაქვთ ბორჯომისაკენ. თუმცა აკრძალულია საქონლის და სურსათის ყიდვა მთავრობის მიერ, მაგრამ ვინ უყურებს ამ აკრძალვას. ადგილობრივი მთავრობის მოხელენი ლტოლვილთ იარაღს ჰყრიან. საქართველოს საზღვარს არავინ იცავს. მდგომარეობა სერიოზულია.

## მოხელეთა კავშირი

სრულიად საქართველოს მოხელეთა კავშირმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფართო ნიადაგი მოიპოვა ქართველ მოხელეთა შორის. თითქმის ყველა ქალაქებში დაარსდა განყოფილებანი და უმრავლესობა ადგილობრივ მოხელეთა ჩაეწერა კავშირის წევრად.

კავშირის მთავარ საბჭოს განძრახული ჰქონდა მოეწვია საზოგადო კრება, სადაც მონაწილეობას მიიღებდნენ ყველა დაბა-ქალაქების განყოფილებების წარმომადგენელნი, მაგრამ რაკი ოფიციალური ცნობები ადგილობრივ განყოფილებების დაარსების და წევრთა რიცხვის შესახებ მას აქვს მხოლოდ ზოგიერთა ქალაქებიდან, გადასწყვიტა მოიწვიოს თიბათვის 16, კვირას, დილის 11 საათ, ქართულ კლუბის შენობაში, ჯერ-ჯერობით თბილისის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ქართველ მოხელეთა კრება. ამ კრებაზე მიღებული დადგენილებანი ეცნობება კავშირის ყველა პროვინციის განყოფილებებს. უკანასკნელნი კი მოვალენი არიან, რაც შეიძლება მალე მოაწოდონ მთავარ საბჭოს საჭირო ცნობები თავის დაარსების და შემადგენლობის შესახებ, და მით მისცენ მთავარ საბჭოს საშუალება მოიწვიოს ახლო მომავალში სრულიად საქართველოს ქართველ მოხელეთა დელეგატთა კრება.

კავშირის მთავარი საბჭო სთხოვს თბილისის ყველა დაწესებულებათა მოხელეთ უსათუოდ დაესწრონ კვირის კრებას. ხოლო პროვინციალურ განყოფილებებს სთხოვს დროზედ გამოგზავნონ საჭირო ცნობები. ამასთანავე განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საბჭოსი თავის მოქმედების შესახებ დღიდან დაარსებისა; 2) წესდების განხილვა და დამტკიცება; 3) საბჭოს შევსება ახალი წევრებით და 4) მომენტის შესახებ.

## საქართველოს საბაჟო

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული საბაჟო კომისია. კომისიაში მოწვეული არიან საბაჟო უწყებიდან და რკინის გზებიდან—ბ. მიქაძე, დ. ქქოძე, კ. თუმანოვი, გ. ალშიბაია და სხ. ქართველ ვაჭარ მრეწველთა დავალებით ა. ასათიანი და რამოდენიმე ექსპერტი. კომისიის პირველი კრება შესდგა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გ. ჟურულის თავმჯდომარეობით, რომელმაც გააცნო კომისიას მაზედ დაკისრებული პროგრამა. კომისია მეორე დღესვე შეუდგა მუშაობას და აირჩია სპეციალური კომისია რომელსაც საბაჟო ორგანიზაციის ფუნქციებისა და საბაჟო დარაჯების მოწყობის გეგმის შემუშავება დაევალა სასწრაფოდ.

## აოხრებული მხარე

ჩვენი მეექვსე ბატარეა სულ ათ დღეს იყო სტუმრად ჯავახეთში. ბატარეიამ სახელი გაითქვა ტამალის ბრძოლაში, აქ მან ქვეითა ჯარს გაუსწრო წინ, სადაც სომხებმა უღალატეს ბატარეას და ბატარეის ზოგი ერთი ჯარისკაცები ვინტოვკებით ხელში იერიშზე გადავიდნენ და აპინძა აიღეს. მეექვსე ბატარეია შეუყვარდათ იქაურ მცხოვრებლებს, მისი ორი ზარბაზანი მთელი მათი იმედი იყო.

5 ივნისს არაგვასთან დილა ადრიან

## ძახილი

ამაზედ მეტი არ შეიძლება
არც მოთმენა, არც დაყოვნება;
როდემდის უნდა დარჩეს აბუჩად
ჩვენი სურვილი და ჩვენი ნება.

ნება უმანკო, სურვილი წმინდა,
მშვიდი ვით წყარო და მშვენიერი;
ღმერთმა ხომ იცის არ გვჯავრებია
არც ერთი ხალხი, არც ერთი ერი.

და რად გვახვევენ საზიზღარ ცილებს,
რისთვის გვნათლავენ შხამიან გველად?
წავიდნენ ნახონ ჩვენი გმირების
დაღვრილი სისხლი უცხო მთა-ველად.

ნუთუ მადლობის მაგიერია
აღვირ ახსნილი უჯიშო წყევა?..
გმირების გული გმირად დარჩება
წამხდარით სიმუხთლეს არ შეეჩვევა.

ის ვინც სამშობლო თავად დაამხო
და ზედ დააწვა ვით ნისლთა ზვავი,
ჯალათის სახელს ვინც ეზიარა
ჩვენთან რამე აქვს დასამდურავი?!

არა და არა! სტყუის ორპოფი
სტყუის უსირცხვოდ ქვეყნად და ზეცად;
ვინ მოამზადა შინა და გარედ
ამდენი ხალხი ბრბოთა და მხეცად?!..

ეჰ! დღეს ჩვენ აღარ გამოგვადგება
სხვათა აყოლა და სხვისი ნება:
ჰხედავთ დრუბლები როგორ მოზღვავდა
და გვემუქრება რაღაც განგება?!

მაშ დაჰკრას ბუკმა და ყველა გმირი
ერთად შემოკრბეს ანაზდეულად;
ზედ დავაყენოთ ვერაგთ თავპირი
თუნდ დახოცილნი დავდგეთ ჭედულად.

დროს ნულარ ვკარგავთ, თორემ
წავხდებით,
წარსულებივით მოუხმოთ გმირებს,
თუ ჩვენ ვერ ვნახავთ თავისუფლებას
ხომ მოუპოვებთ ჩვენ შვილი-შვილებს.

ნუ მოელოდებით, დავძახოთ მედგრად:
გვეყო რაც ტანჯვა გამოვიარეთ,
გვეყო რაც შხამი და სამსალა ვსვით
და რაც ეკლიან გზაზე ვიარეთ.

რაც უნებურად დავღვარეთ სისხლი
კერპთა სამსხვერპლოს ისიც კმარა...
გაჩაღდეს ბრძოლა, ბრძოლა მედგარი,
ბრძოლა გმირული, ბრძოლა აშკარა.

მტერს ნუ დავუწყებთ ლაქუცს და
თხოვნას,
არც მიეპარეთ ხოხვით, ცოცვით,
თუ გამარჯვებას ვერ გამოვტაცებთ
გმირულად მაინც დავიხოცებით...

ვერც შევაგუებთ ჩვენ ახალ ბატონს,
ელოდება დაუდევთ ზურმუხტ თვალ-ველებს;
ბაღს, ვენახს, ლაინ-ზვრებით,
რკინის ძალ-ღონე მივცეთ ხელებს.

და ვინც დღეს ბრძოლას შეუშინდება,
იგი ჩვენ შორის ნუ გამოჩნდება,
დეე იცოცხლოს როგორც მხოხავმა,
სულის მოცემის არ ჰქონდეს ნება.

ავმაღლდეთ სულით ნამდვილ ვაჟკაცნო
გავსწიოთ ბრძოლად გროვა და გროვა,
ვძლიოთ მტერსა და მოვაშოროთ
ლამაზ სამშობლოს ჭირი და გლოვა.

შიო მღვიმელი.

---

ცეცხლი დაანთეს ჩვენმა ზარბაზნებმა. მართალია ერთმა მათგანმა მალე უღალატა თავის ამხანაგს, მაგრამ მეორე მაინც გულს არ იტეხდა და მთელი დღე გამაგებული ცეცხლებს აფრქვევდა, ამაყად დრიალებდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკას ემსახურებოდა. ყოველი ყუმბარა, რომელიც ნიშანში ამოღებულ ალაგს ეცემოდა, აღფრთოვანებას იწვევდა ზარბაზნების მომუშავეებზე.

—აი, შენი ჭირიმე, შენ ხმას ვენაცვალე, პატარა ზარბაზანო,—გაიძახის ჯარისკაცი სტუდენტი.

ომში კი არა, თითქოს ლხინში იყვნენ, ისე სიამოვნებით და აღტაცებით ამუშავებდენ ზარბაზნებს. „მოდი, ექიმო, შენც გაისროლე ერთხელ ზარბაზანი,—მეუბნება ბატარეის უფროსი.

— რატომ ვერ გავისვრი, მიმეცი „წყრილი" ახლავე გავისროლი,—და მართლაც გავისროლე. ჯარისკაცებმა სიამოვნებით გადიხითხითეს.

მართლაც, აქ ისეთ გუნებაზე ხარ, რომ ჰფიქრობ სტეტოსკოპის მაგიერ ვინტოვკა გიდო ხელში, თუ კი მოითხოვს სამშობლოს ინტერესები. ოთხ წელიწადს რუსეთის ფრონტზე ვიყავით და არ ვიცოდით, ან ვისთვის ან რისთვის ვიბრძოდით, დღეს კი თვითეული ჩვენთაგანი ეცდებოდა თოფიარაღში იჯდეს და თავისუფალ, ახალგაზრდა ჩვენს სახელმწიფოს სდარაჯობდეს, ვისგანაც და როდემდისაც საჭირო იქნება ეს.

ჩვენი ზარბაზანი მეორე დღესაც მუშაობდა. შუადღისას გენერალ არჯევანიძისაგან ბრძანება მოვიდა, ბატარეის ორივე ზარბაზანი... ბაკურიანისკენ გამომგზავრებულიყო. ჩხლოს-მახლობლო სოფლელებმა შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი, შიშმა შეიპყრო—თუ თქვენ წახვალთ, ჩვენ აქ რადა გაგვაჩერებს, ან აქვე დაგვხოცავთ, ან და თან წაგვიყვანეთო. თვით გმირი ხიზამბარელი შეიარაღებულნიც შეშინდნენ. საროულები, თუ სხვა სოფლის მცხოვრებნი სწრაფ შეუდგნენ ურმების დაბარგვას. ამაოდ ვურჩევდით მცხოვრებლებს ადგილზე დარჩენას: მოვლენ და მთლად ამოგვწყვეტენ, თუ აქ დავრჩით. ჩვენზე ძალიან გაჯავრებულნი არიან თათრები, რა კი სომხებთან ერთად ჩვენც ავიხსენით მათ სოფლებიო. მართლაც, ჩემი თვალით რომ არ მენახა აოხრებული თათრის სოფელი გოკიამ, არ დავიჯერებდი. რა ბარბაროსობა, რა სიმხეცე ჩაუდენიათ სომხებს?! თვით ნადირი, ტყიდან გამოვარდნილი მხეცი როგორ ჩაიდენს ასეთ საზიზღრობას?!

ახლა, ამდენი ხანია, მკვდრები ზეზე ჰყრია. ზოგი პირქვე, ზოგისთვის ძაღლებს მკლავი მოუგლეჯიათ. აი, 14—15 წლის ქალიშვილი ძუძუებ დაჭრილი... ალბად მას შემდეგ, როდესაც ველურებმა გაახრწნეს და თავისი ვნებათა დელვა დაიკმაყოფილეს... ამის შემდეგ განა საკვირველია თუ თათრები აღარ ენდობიან თავიანთ მოსისხლე მტრებს?.. მიუხედავად იმისა, რომ სომხებმა ზოგიერთა სოფლის ქართველებიც ჩაითრიეს და ორივე მაზრაში (ახალქალაქ-ახალციხის) გააწყვეტეს საქმე, ქართველი მაჰმადიანი ახალგაზრდა ბეხჩა (კომისარი) აბაშიძე 22 მაისის თარიღით წერილსა გზავნის პოზიციაზე და წინადადებას უძლევს ქართველებს, მოლაპარაკება გავმართოთო (აბაშიძის წერილს და ჩვენს პასუხს რედაქციას ვუგზავნი ამ წერილთან ერთად). ეს წერილი გვიან ჩაგვივარდა ხელში—პირველ თიბათვეს; 26 მაისს კი ჩვენმა არტილერიამ რაც დღე დააყენა მათ ასპინძასთან ამაზე გაკვრით ზევით მოგიხსენიე.

არ ვიცით ამაზე იყვნენ გაჯავრებულნი თუ სარის ახლო მიდამოებში მომხდარი ამბის გამო. აბაშიძემ და სხვა მისიანებმა არ იცოდნენ მათი წინადადება, რომ გვიან გვქონდა მიღებული, ჩვენმა დელეგაციამ (ექ. იზხნელი, ექ. ლეონიძე, შტ. კაპ. ზალდასტანიშვილი) ვერ მოახერხა მათი დელეგატების ნახვა. როდესაც დანიშნულ ადგილზე თეთრი ბაირაღით წინ გავგზავნეთ მოხუცი გმირი თედო ბერიძე, მას სროლა აუტეხეს და არავინ მოვიდა მასთან წერილის გამოსართმევად. ასეა თუ ისე, დღეს აოხრებულია მდიდარი, ღოვლათიანი მხარე. ახალქალაქის მაზრის 15 სოფელი ამდენივე ახალციხის მაზრის სოფლები მთლად დაიცალნენ და ბაკურიანს მოაწყდნენ, მაგრამ ბაკურიანში რას დაუტევიან? მთელი ტყე გაივსო. ამ წვიმებში, ამ ცივ ღამეებში ტყეში ცხოვრობენ, ბევრია ძუძუმწოვარა ბავშვებით. სწრაფი შველაა საჭირო. აუცილებელი სომხობაც რომ არიან მოწყვეტილი მათაც გზა უნდა უჩვენოს ჩვენმა მთავრობამ.

მ. იზხნელი.

## წერილი ბ. აბაშიძისა *)

ძმანო ქართველებო! ამ ეპისტოლეს გწერთ თქვენი სისხლისა და ხორცის ადამიანი—თქვენი გულწრფელი მოსიყვარულე ძმა მაჰმადიანი ქართველი. ამ ზავებნელ დროთა გამოისად შექმნილ გარემოებამ მაიძულა ამ ეპისტოლეს წარმოგზავნა. რამდენიმე დღის წინ ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ აპნისა და გოგაშენის მცხოვრებმა ქართველებმა მიატოვეს თავთავიანთი სოფლები. ფრიად ამაღელვა ამ ამბავმა. სასტიკი განკარგულება გავეცი, შეეწყვიტათ ძარცვა-გლეჯა და ხალხის აწიოკება. ბაშიბუზუკთა ასალაგმავად გამოვიყვანე ჩემი ჯარი. გზად თქვენს სოფლებში შეტაკება მოგვიხდა ბაშიბუზუკებთან, რომელთაც მოჰქონდათ პური და ნადავლი. ყველანი შევიპყარი, ნადავლი ჩამოვართვი და თქვენს ეკლესიებში შევაგროვე (შესაფერისი ოქმი შედგენილია ამის შესახებ)...

ერთი სიტყვით, მეტად სასურველია მშობელი კუთხე, მშობელი სოფელი არ იქნეს განადგურებული. გთხოვთ ჩემო ძვირფასო ძმებო, ნუ შეხვალთ შეცდომაში, არ მიატოვოთ მშობელი კუთხე, ნუ გაანადგურებინებთ ქარ-

*) იხ. ზემოდ მ. იზხნელის წერილი: „აოხრებული მხარე". ამ წერილის ასლს რედაქცია ინახავს საბუთად.

თულს მაზრებს. ყველა განადგურებული სოფლები, მათი ზარალი ისევ ანაზღაურებული იქნება, ოღონდ ნუ გარბიან, ოღონდ თავიანთ კარს დაუბრუნდნენ თვითონ სოფლელნი. ამასთანავე გახოვთ დაუყონებლივ გამოგზავნოთ თქვენი რწმუნებულნი ჩემთან მოსალაპარაკებლად. დიდად მსურს თქვენთან აზრების გაზიარება.

მოველი დელეგატებს. წერილსა ვგზავნი სომხის ხელით.

პატივისცემით ბ. აბაშიძე.

## პ ა ს უ ხ ი

პატივცემულო ბატონო აბაშიძე!

მივიღეთ თქვენი წინადადება შერიგებისა და ზავის ჩამოგდების შესახებ ქართველებსა და მაჰმადიანებ შორის. სიხარულის ცრემლები მოგვადგა თითქმის ყველას, შტაბში მყოფთ, როდესაც თქვენი წერილი წავიკითხეთ. სამწუხარო ამბები დატრიალდა ძმათა შორისაც- რადაც გაუგებრობა მოხდა. ვიდაც მესამემ შეგვიყვანა შეცდომაში და უმანკო სისხლი დაიღვარა და [illegible]. ქართველი ერი, რაინდი, არას დროს მტერსაც არ ეპყრობოდა ბარბაროსულად. ქართველი ხალხი მოტყუებული რუსეთისაგან 117 წლის შემდეგ ძლივს აღწევს თავს და თავისუფლდება. ამიერიდან ქართველ ხალხს ექნება საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეყოლება თავის საკუთარი მთავრობა, რომელიც ყველა მცხოვრებს საქართველოს ტერიტორიაზე (მიწა წყალზე) ერთნაირად გაუწევს მფარველობას. საქართველოს მთავრობა კეთილგანწყობილებას არ დააკლებს მეზობელ ერებთან.

ბატონო აბაშიძე! კიდევ გიმეორებთ, რომ სიამოვნებით ვეგებებით თქვენს წინადადებას და გთხოვთ ხვალ საროსა და ხერთვისის შუა საბძელას თავზე, 12 საათზე მოვიდნენ თქვენი დელეგატები საზავო მოსალაპარაკებლად ჩვენს პოზიციაზე. შტაბი თავის მხრით გამოგზავნის ხუთ დელეგატს. ველით პასუხს.

ექ. აშხნელი.

## ვისი ბრალია?

„ერთობის“ № 120-ში მოთავსებული საყურადღებო წერილი სურსათის შესახებ. მეც მსურს გამოვთქვა ჩემი აზრი ამის შესახებ.

სურსათის კრიზისი, უეჭველია, რაც ხანი გადის, უფრო ძალიან მწვავდება და ეს გამოიწვევს იმას, რომ ისეც აღვირ ახსნილ სპეკულიანტებს უფრო ლაგამი წაჰყარონ. ამიტომ საჭიროა, რომ დროზე იქმნეს მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები. მაგრამ მეეჭვება, რომ ეს ზომები იქმნეს მიღებული, რადგანაც, ჩემის აზრით, სანამ სათავეში იქნებიან ისეთი პირნი, რომლებსაც, როგორც გვაჩვენებს პრაქტიკა, არ შესწევთ საქმის მოგვარება წესიერად, ძნელი იქნება რაიმე ღონისძიება იმ სპეკულიანტების წინააღმდეგ. სათავეში სხედან ისეთი პირები, რომლებსაც არ შეუძლიანთ არც საქმის მოგვარება და არც პრაქტიკულად არიან მომზადებულნი. თუ მათ შორის მოიპოვებიან მომზადებულნი, ისინიც ვერ ასრულებენ ამ საქმეს, რადგანაც ამ პირებს ახვევიათ ისეთი ხალხი, რომლებიც დახმარების მაგივრად ხელს უშლიან. არიან კიდევ ისეთები, რომლებიც დარწმუნებული არიან თავიანთ უმოქმედობაში, მაგრამ ამაზე თვალს ხუჭავენ. თუ ვინმე მოისურვებს საქმიანობას, ეხლა ბატონები ხელს უშლიან იმ მოსაზრებით, რომ გარეშეს ჩარევა საქმეში—ჩვენი უფლების შელახვა იქნებაო, მაშასადამე პრინციპების დარღვევაც იქნებაო.

ზემოდ მოყვანილ სიტყვების დასამტკიცებლად მოვიყვან ზოგიერთა საგულისხმიერო ცნობას. ქალაქის თავმა ნ. ზ. ელიავამ მე მიმიწვია სასურსათო სამსახურში. მან დამავალა, რომ მომეწყო ხორბლის ყიდვა და გადმოზიდვა ახალქალაქის მაზრაში. მე ეს დავალება მივიღე და შევუდექი ამ საქმეს 3 მაისს, ამა წელს. იმ დღესვე გავემგზავრე ახალქალაქის მაზრაში, მაგრამ შიგ ქალაქში ვერ ჩაველი, რადგანაც გზა არ იყო გაწმენდილი თოვლისაგან. მე მაინც შევკრიბე ყველა საჭირო ცნობები, რაც შესაძლებელი იყო. გამოვარკვიე, რომ მოკლე ხანში დიდძალი ხორბალი შეიძლებოდა შეგვეძინა და მასთან ძალიან შეღავათიანს ფასებში, ჩემის შეხედულობით თბილისში ჩამოტანით დაჯდებოდა 30—35 მანეთამდის ფუთი, მაგრამ ზოგიერთი კითხვისთვის საჭირო იყო თბილისში დავბრუნებულიყავი ქალაქის თავთან. განზრახვა შევატყობინე დეპეშით, პასუხი მივიღე: ხვალ მოველი ჩამოსვლისა.

ჩამოველ. ვინახულე. ქალაქის თავმა ბ-მა ნ. ზ. ელიავამ მოისმინა ჩემი აზრები. ჩემს მოხსენებას შესაფერი რეზოლიუცია წააწერა, ეს უნდა გადაეცა სასურსათო საქმის გამგისთვის, ბ-ნ მინასაროვისთვის, რაიც იმ დღესვე შევასრულე. მინასაროვმა მიიღო ჩემი მოხსენება და მთხოვა ორი დღის უკან შემევლო მასთან. დანიშნულ დროზე მიველი. პასუხად მივიღე: ჯერჯერობით ვერ მოვიცალე, ვერაფერი ვერ გავაკეთეო. მთხოვა, კიდევ შევსულიყავი რამდენიმე დღის შემდეგ: ეს ძალიან რთული საკითხია და საჭიროა სასურსათო მინისტრსაც დავეკითხოო. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ბოლოს, როცა სიარულით თავი მოვაბეზრე, მითხრა მე თვითონ წავსულიყავი სამინისტროში და მენახა საქმის გამგე ბ-ნი დიაჟკინი, რომელმაც თავის მხრივ კიდევ რამდენიმე დღე დამაკარგვინა. ბოლოს მითხრა: „რადგანაც მინისტრს დრო არა ჰქონდა, ამიტომ ეს საკითხი ჯერჯერობით ასეა დარჩენილიო. მის გადაწყვეტილებას თავის დროზე შეგატყობინებთო“. ეს კი იყო 18 მაისს, მას უკან ბევრმა დრომ გაიარა. ეს საქმე დარჩა უყურადღებოდ...

ამ წერილიდან მოქალაქეებს ადვილად შეუძლიათ დაინახონ, რომ ვიდრე ისეთი პირები გვეყოლებიან სათავეში, რომლებსაც არაფერი არ შეუძლიანთ არც შექნა და არც გაკეთება, მასთან კიდევაც ხელს უშლიან სხვას, ჩვენ ვერას გავხდებით, მშივრები ვიქნებით. მოურეველი ხორბალი ამ ვაჟბატონების წყალობით ჩაუვარდათ ჩვენს მტრებს. ამით სარგებლობენ სპეკულიანტები და ყოველ დღეს უმატებენ ფასს როგორც ფქვილზე, აგრეთვე გამომცხვარ პურზე. დღეს ბაზარში თეთრი ფქვილი ფასობს 190 მ. ფუთი, შავი 150 მ. გამომცხვარი პური, რომელიც არ გამოვა 3 მეოთხედი გირ. ღირს 5 მ. ესე იგი გირვანქა პური თითო მოქალაქეს უჯდება 6 მ. 65 კაპ. მერე და ვისი ბრალია? მკითხველო, შენ. დაუკვირდი ქალაქის გამგეობას კი ჰპართებს მეტი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, თუ არა ჰსურს, რომ მხოლოდ ცარიელი ქუჩებს დაუწყოს გამგებლობა...

ალექსანდრე ლორთქიფანიძე.

## კორესპონდენცია

### ხევის აპ-ქარში

მოხევეთ ყველაფერი დაავიწყდათ და მხოლოდ ერთის აზრით არიან შეპყრობილნი—რუსეთის გამანადგურებელი სენი, უკეთ რომ ვსთქვათ გამანადგურებელი ბრბო—ბოლშევიკებისა საქართველოში არ შემოუშვან. ამიტომ დიდმა და პატარამ 16—60 წლამდინ ყველამ თოფი ხელში აიღო და დარიალის ხეობაში ელოდება ამ მთაბარის გამანადგურებელ ბრბოს შეხვედრას.

სამწუხაროდ ხევშიაც აღმოჩნდნენ ზოგიერთა სამშობლოს მოღალატენი, ამ დამღუპველი სენის თანამგრძნობელნი და თავიანთი გესლიანი ენით მოწამლეს 3—4 სოფელი, რომელთაც უარი სთქვეს მეზობლებთან მეზობლობაზე. ამის შესახებ 5 თიბათვეს მოხდა მოხევეთა საერთო ყრილობა. ყრილობას დაესწრო დუშეთის მაზრის კომისარი ბ. დუმბაძე და სამხედრო საქართველოს გზის დამცველი პოლკოვნიკი აბესაძე. ყრილობამ თავმჯდომარედ ამოირჩია ბ. დუმბაძე. ბ.ბ. აბესაძემ და დუმბაძემ განუმარტეს ხალხს, თუ რა ცუდი შედეგი მოსდევს ხსენებულ ბრბოს საქართველოში შემოსვლას. ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოსთქვეს მოხევეებმაც და ითხოვეს მთლად მოხევეთა ძმური შეკავშირება.

გამოვიდნენ სალაპარაკოდ ოსის წარმომადგენლები კობის საზოგადოებიდან და 2—3 მოხევე, რომელთაც ანგელოზებად დაუხატეს საზოგადოებას ეს მტაცებელი ბრბო—ბოლშევიკები. ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები სწყდებოდა ყრილობაზედ, რომ ერთი ნასალდათარი მოხევე იქვე ხალხში წამოუწყებ თოფს და გაისროლა მთაში, როცა ხალხმა შენიშვნა მისცა და აქეთ-იქიდან გაუწყრნენ, მან ჯიბრზედ მეორეჯერ მიაყოლა და სთქვა—თავისუფლება არის, მე თქვენ არ გკითხავთო.

ხალხი დაიშალა და სიონის საზოგადოება წინააღმდეგი გახდა სამშობლოს დაცვაში გამოსვლაზედ. ერთი უნდა ვკითხოთ სიონელებს—მთავრობას რომ თოფები დასტყუეს, სამშობლოს დაცვის სახელით, რისთვის უნდათ ის თოფები? ალბად ტელეგრამისა და ტელეფონის მავთულების გასაფუჭებლად. მართლაც რომ თავისუფლება არის ყველა ოხერი და თავგასული კაცისთვის! ზნეობა დაცემულთ თავს გაუქვიდათ, პატიოსან მეზობელს არ შეუძლიან კრიჭაში ჩაუდგეს, რომ თავის უხეშს მეზობელს და უზნეო ადამიანს ზნეობა მოაშლევინოს. აქ საჭიროა მთავრობის ძალა, თორემ ბრიყვს თავისებურად ესმის თავისუფლება. მთავრობის წარმომადგენლები ლოდინობით, შენი ჭირიმე—გენაცვალეთი საქმეს წაახდენენ.

ყველა ოხერს და თავგასულს თოფი გადმოუკიდია, სადაც არა მგზავრია გზაში უსაფრდებიან—ლტოლვილ მგზავრებს და „არგუმენ ობისკებს“, ვითომ მთავრობის დავალებით. სტაცებენ ძვირფასს ნივთებს, ართმევენ ფულებს. გაძარცული მგზავრები ტირილით დადიან ქუჩა-ქუჩა, ეძებენ სამართალს და ვერ ჰპოულობენ. თუ გვსურს წესიერება აღსდგეს, თუ გვსურს მთლად არ დავიღუპოთ ბოლშევიკური სენისაგან, საჭიროა მთავრობამ სასტიკად მოუჭიროს მუხრუჭი ყველას და ბრძანება გამოსცეს, რომ დეპეშისა და ტელეფონის მავთულების გამფუჭებელთ, წესიერების დამრღვეველთ, ცუდ-უბრალოდ თოფების მსროლელთ, მძარცველ ქურდ-ბაცაცთ, არ აპატიებს დანაშაულს და სასტიკად დასჯის. თუ ეს ასე არ იქმნა, ჩვენ მალე ერთეულ დიდი უბედურობის მნახველნი შევიქმნებით...

ხ. შადური.


კვირას, 16 ივნისს, დილის 10 საათზედ დანიშნულია „ახალ საქრებულო“-ს წევრთა საზოგადო

# წლიური კრება

განსახილველი საგნები: 1. 1917 წ. ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. მმართველობის საბჭოს არჩევნები. 4. სარევიზიო კომისიის წევრთა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. 4—4

ცენტრალი კომიტეტი ქართულ

# სამხედრო კავშირისა

აცხადებს ქართულ ჰიმნის მუსიკის კონკურსს შემდეგის პირობებით:

I. თავისუფალი ფორმა ორი ან სამ ნაწილებისაგან.
II. ხალხური.
III. მკაფიო და მოკლე.
IV. ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ ავაპელა (სასიმღერო).

საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75 პროც. კონცერტის სუფთა შემოსავლიდან.

ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდი. კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის (ახალი სტილით). მისამართი: ქ. თბილისი. ქართული კლუბი, სამხედრო კავშირი, მომღერალთა გუნდის გამგეს. (5—964—3)

# საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

# სახელმწიფო თეატრი

კვირას, 16 ივნისს, ქართველ მსახიობთა კავშირი, დამსახურებულ მსახიობის

ვიქტორ გამყრელიძის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს

## სადღესასწაულო წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება

I

## პატარა კახი

აკაკისა. მესამე მოქმედება.

II

## რაც გინახავს, ველარ ნახავ

ა. ცაგარლისა. მეორე მოქმ.

III

## არივ დარია

გ. ერისთავისა. ვოდ. 1 მოქმედებად.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება „ძმურს ნუგეშში“ და სახელმწიფო თეატრის კასაში.

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის ორგანიზაციის გამგისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—წავკისის, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე. თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარი კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

## ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 სად. შინაგანი, ბავშვების, საზებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლაევის ქუჩა № 7, სიმხოვანის აფთიაქის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ე ქ ი მ ი

## მ. ი. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ხამ. ....ნალო კაბინეტი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

უფასოდ უმწეოვან ავადმყოფთათვის

ექიმ ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩკინი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

გ ა ი ხ ს ნ ა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხონისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## ბალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—..

ე ქ ი მ ი

## მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბოდ-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—49

ე ქ ი მ ი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—41


სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა გამოცემის შესახებ № 4.